პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 12 მაისი, 1990 წელი ● № 20 (2897) ● СУББОТА, 12 МАЯ 1990 г.

## სხვადასხვა ინფორმაცია

**1941-45** წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 45 წლისთავს მიეძღვნა 8 მაისს სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართული მოსკოვის მშრომელთა და მოსკოვის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება.

მოხსენება „ომისა და გამარჯვების გაკვეთილები" გააკეთა მ. ს. გორბაჩოვმა.

**ტრადიციისამებრ** თბილისელები და ქალაქის სტუმრები შეიკრიბნენ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე აღმართულ მემორიალთან. ამ ადგილს ამკობენ გვირგვინებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ომის ვეტერანების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობისა და პოლიტსამმართველოს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სარდლობისა და პოლიტგანყოფილების სახელით.

**საბჭოთა** კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება (სიკვდილის შემდეგ).

**სომხეთის** სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ წვევამდელები სამხედრო ვალდებულებას სომხეთის ტერიტორიაზე, კერძოდ მიწისძვრის ზონაში მოიხდიან.

**გაიმართა** საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მორიგი სხდომა, რომელზეც განიხილეს დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრებული წინასაარჩევნო კრებებისა და კონფერენციების შედეგები.

## შევუქმნათ შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობები

**უცნაურად** აეწყო ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების უკანასკნელი ათწლეულები. რამდენიმე თაობა იმეორებს ძველი დრო ჯობდაო. რით გინდა ახსნა ასეთი განწყობილება? იქნებ იმით, რომ ძველ დროში ადამიანები უფრო შრომისმოყვარენი იყვნენ? იქნებ იმით, რომ ადამიანებს ღმერთი სწამდათ და ბოროტების ჩადენას ერიდებოდნენ წაწყმედის შიშით? იქნებ იმით, რომ ძველ თაობებში ადამიანები უფრო მეტად უფრთხილდებოდნენ ერთმანეთს, იჩენდნენ ერთმანეთისადმი მეტ გულმოწყალებას და ნაკლებად ბოგინობდა ბოროტება და სისასტიკე? იქნებ, იმით, რომ ნაკლებად მომხვეჭელები იყვნენ და კაცობის საზომად ადამიანურობა გამოიყენებოდა და არა თანამედროვე სკამი და სქელჯიბიანობა? იქნებ იმით, რომ სოფელში ერთი ბატონის შენახვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ახლანდელი მართველობითი აპარატებისა? ან იქნებ იმიტომაც, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა და ყველაფერი ბუნების კანონებს ემორჩილებოდა? იქნებ იმითაც, რომ ადამიანები მიწას ქიმიური ნივთიერებებით არ წამლავდნენ? ჩვენს საზოგადოებაში ფეხადგმული მრავალი სიმახინჯე იქნებ მრავალკანონიერებამ წარმოშვა? იქნებ მრავალთა მორალი იმან გახრწნა, რომ არსებულ მრავალ კანონს ქართველი კაცის კაცური სიტყვა გადასწონიდა? ეჰ, სად წავიდა ურთიერთნდობის ასეთი დამოკიდებულება, ნეტავ რამ მოამზადა ადამიანებში ასეთი უნდობლობის ნიადაგი და რამ აღმოაცენა ბოროტების თესლი.

ამ წერილით ერთი სრულიად კონკრეტული საკითხის დასმა მინდა, მაგრამ ვიდრე მას წამოვაყენებდე, არ შემიძლია არ შევახსენოთ ჩვენი სატკივარი.

მიმდინარე წლის 18 აპრილს გაიმართა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პარტიული კონფერენცია, სადაც საკმაოდ მაღალი რანგის წარმომადგენლობა და სტუმრები გვესწრებოდნენ.

დღის წესრიგი საშუალებას გვაძლევდა გამოგვეთქვა მოსაზრებანი ნებისმიერ მტკივნეულ საკითხზე. ასეც მოხდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ჩვენი გულისტკივილი სამმართველოს შენობას ახლაც ვერ გასცდა. გაზეთმა „თბილისმა" კონფერენციის მუშაობა ასე გააშუქა: „რომ იტყვიან დარბაზში ქარიშხალი ატყდა". და როგორც ყოველთვის, წერილის ბოლოს ისევ საყვედური გვითხრეს, რომ საკუთარი თავის კრიტიკა ნაკლებად იგრძნობოდაო. ასე, რომ მკითხველმა მაინც ვერ გაიგო, თუ საით უბერავდა ეს ქარიშხალი, რამ ააბობოქრა იგი, რის დანგრევას და წალეკვას აპირებდა ეს ქარიშხალი, რამ მისცა ასეთი ძალა იმ დარბაზს, რომელიც მიუხედავად ბრძოლისუნარიანობისა, ყოველთვის მორჩილებით, უპრეტენზიობით და მინდობილი საქმის ერთგულად შესრულებით გამოირჩეოდა.

ამ წერილით კონფერენციის მუშაობის გაშუქებას არ ვაპირებ, მაგრამ ჩემი გარნიზონის კომუნისტებს შევპირდი, რომ თუ ჩემი წინადადება მსვლელობას არ მიიღებდა (ასეც მოხდა) შევეცდებოდი და თვითონ აღვძრავდი ამ საკითხს. და რადამც დარბაზში აბობოქრებულ ქარიშხალში, ჩემი, როგორც პარტიული კომიტეტის წევრის წინადადება, ქარმა წაიღო, „მებრძოლ გუშაგს" ვთხოვ მომცეს ბრძოლის გაგრძელების საშუალება. ვიმედოვნებ, რომ ჩემი გარნიზონის თანამშრომლები ამ საკითხში ჩემთან ერთად იქნებიან.

თუ მიმდინარე ეტაპზე რაიმეს შეიძლება არაადამიანური უწოდო, ეს ალბათ, უპირველეს ყოვლისა უნდა ეწოდოს მილიციის თანამშრომლის შრომის პირობებს.

საზოგადოება ჩვენ გვსაყვედურობს უხეშობის თუ დაბალი პროფესიონალიზმის ცალკეული შემთხვევების გამო. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ იგივე საზოგადოების, იგივე ხალხის ნაწილი ვართ, იგივე სოციალურ სფეროში ვცხოვრობთ, რო-

(დასასრული მე-2 გვ-ზე).



# НИКТО НЕ ЗАБЫТ, И НИЧТО НЕ ЗАБЫТО!

**ДЕНЬ** 9 мая 1945 года золотыми буквами вписан в историю нашей страны. Вот уже сорок пять лет отделяют нас от того дня, когда над поверженным рейхстагом взвилось красное знамя Победы. Этот миг ознаменовал собой конец самой кровопролитной из войн в истории нашей цивилизации, победу советского народа, всего прогрессивного человечества над коричневой чумой фашизма.

Нелегко далась эта победа. В тяжелейшей борьбе с сильным и кровожадным противником приближали советские люди этот радостный час. И он наступил, во всем своем величии и славе, чтобы стать достойной наградой всем, кто 1.418 дней и ночей на фронте и в тылу, невзирая на неисчислимые трудности и горечь потерь, ковал победу над врагом. И сколько бы лет не прошло, все мы, преклоняясь перед их беспримерным подвигом, будем вновь и вновь повторять: «Никто не забыт, и ничто не забыто!»

И сегодня, в эти весенние дни, как и сорок пять лет назад, все советские люди торжественно отмечают День Победы, отдавая дань глубокого уважения живым и склоняя головы перед светлой памятью погибших, всеми теми, кто покрыл себя неувядаемой славой на полях сражений, принес свободу народам Европы, кто ценой своей жизни защитил мирное небо над нами.

Много праздничных мероприятий по традиции проводятся в эти дни, в центре внимания которых, как всегда, ветераны войны, в том числе и те, кто, сменив гимнастерку на милицейский мундир, стал в ряды бойцов правопорядка. Им в эти дни мы уделяем особое внимание, выражая тем самым свою глубокую признательность за их самоотверженный ратный труд.

Одно из таких трогательных, волнующих мероприятий состоялось в канун юбилея в зале коллегии МВД ГССР, где с ветеранами органов внутренних дел республики встретились министр внутренних дел Грузинской ССР генерал-лейтенант в/с Ш. Горгодзе, первый заместитель министра генерал-майор в/с В. Шадури, заместитель министра полковник в/с Ю. Ермолаев, заместитель начальника политотдела министерства капитан милиции В. Цагарейшвили и ректор Института общественного мнения при МВД ГССР профессор М. Дарчия.

Встреча прошла в теплой, непринужденной обстановке.



НА СНИМКАХ: во время встречи.

Фото Г. МГАЛОБЛИШВИЛИ.

Министр внутренних дел генерал-лейтенант в/с Ш. Горгодзе от имени всех сотрудников ОВД республики горячо поздравил ветеранов с замечательным праздником, пожелал им всем крепкого здоровья, счастья, долгих лет жизни, вручил им памятные сувениры и ценные подарки. Министр рассказал собравшимся о сегодняшнем дне милиции Грузии, дал оценку оперативной обстановки в республике, ответил на многочисленные вопросы ветеранов.

После встречи в актовом зале Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского для ветеранов был дан праздничный концерт, в котором приняли участие многие популярные артисты Грузинской государственной филармонии.

А. ЦАТУРОВ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჩინელებს აქვთ ერთი საგულისხმო გამონათქვამი: „საინტერესო დროში გეცხოვროთ". ზოგი მას წყევლას ეძახის, ზოგიც ლოცვას... მთავარი კი ის არის, რომ დღეს მართლაც საინტერესო და მშფოთვარე დროში ვცხოვრობთ. დღეს ყველა გონიერი კაცის საფიქრალია თუ როგორი იქნება მომავალი. სხვებზე არანაკლებ, თუ არა უფრო მეტად, ეს ფიქრი სამართალდამცავთაც არ ასვენებს, მათ ვის ხელშიც იყო, არის და იქნება კანონიერების დაცვა, წესი და რიგი ჩვენს გარშემო. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი მ. მოსიძე შეხვდა ხობის შს რაიგანყოფილების უფროსს, მილიციის მაიორს მ. ჩიქობავას და რიგ საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბრა მას.**

**— ბატონო მურთაზ, თქვენ ამ რაიონში, ამ თანამდებობაზე სულ რაღაც სამი თვეა დანიშნული ხართ, როგორ ვითარებაში მოხვედით რაიონში?**

— თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ დღეს ვითარება დაძაბულია მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, გამონაკლისი არც ხობის რაიონი ყოფილა. აქ დამხვდა რთული ოპერატიული ვითარება. მოხდა რამდენიმე მძიმე დანაშაული, სახალხო მეურნეობის ობიექტები თითქმის დაცვის გარეშე იყო, განსაკუთრებით გვიჭირს გზებზე, სადაც დღემდე ათობით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაა მომხდარი. პრობლემას ქმნის ის ფაქტიც, რომ ჩადენილ დანაშაულთა ძირითადი მაჩვენებლები მოდის სხვა რაიონების მაცხოვრებლებზე. როგორც დავრწმუნდი საჭიროა პირად შემადგენლობაში გაიზარდოს პასუხისმგებლობა და პრინციპულობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკია ადამიანის ბედის განსჯაზე.

ჩემი, როგორც განყოფილების უფროსის უშუალო ამოცანაა გაირკვეს ურთიერთობა ხალხსა და ჩვენს შორის. იცით, მაღალი ტრიბუნებიდან, ლამაზი სიტყვების ხმამაღლა ძახილი დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული, მთავარია სიტყვიდან საქმემდე რამდენი ნაბიჯია. ხალხს ისედაც რწმენა აქვს დაკარგული ჩვენი სისტემის მუშაობაზე და მე ვთვლი რომ ახლა, ამ ეტაპზე ნდობის მოპოვება ყველაზე მთავარი და აუცილებელია. ერთი სიტყვით უდარდელად ყოფნის დრო არ არის, ამოსუნთქვიდან ამოსუნთქვამდეც არ შეიძლება შენს უშუალო საქმეს დაშორდე.

**— რა როლი ენიჭება საზოგადოებრივ აზრს თქვენს სამსახურში?**

— ჩვენ ის თაობა ვართ, ყველაზე მეტად რომ ვიცოდით ერთმანეთის ჭირ-ვარამის გულთან ახლოს მიტანა. დღეს ადამიანებს რომ ვუყურებ მიკვირს. ბევრს სხვისი ტკივილი უხარია, სხვისი ცრემლი შვებას გვრის. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ ადამიანები ერთმანეთს დაშორდნენ, თითქმის საზოგადოებას გაეთიშნენ. მე 20 წელია შს სისტემაში ვმუშაობ და ყოველთვის განვიცდიდი თუნდაც ერთ ადამიანთან ურთიერთობის გაფუჭებას. ჩვენ საერთო საქმეს ვაკეთებთ და ამდენად საზოგადოების აზრს ყოველთვის პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ. მე ასე მესმის, საქმე რომელიც მოსწყდება საზოგადოებას, მის ინტერესებს, განწირულია.

**— როგორც რიგითი მოქალაქე და არა მილიციის უფროსი, როგორ აფასებთ დღეს რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს?**

— საქართველო დღეს ეროვნული მოძრაობის აღმავლობით ხასიათდება, ამ საკითხზე ბევრი კამათი და სჯა-ბაასია, არ ვიცი ვინ როგორ, მაგრამ მე უწინარესად ვაფასებ იმ ხალხს, რომლებმაც ჯერ კიდევ უძრაობის პერიოდში აღიმაღლეს ხმა და დიდი როლი ითამაშეს ერის გამოღვიძების საქმეში. დღეს ამ მოძრაობას ბევრი შემთხვევითი პიროვნება მიეტმასნა, ბევრიც უბრალოდ სახელს უტეხს მას (არის ამის არა ერთი ფაქტი ჩვენს მიერ დაფიქსირებული), თუკი ეროვნული მოძრაობა არ განიწმინდა ამ ე. წ. „შემთხვევითი ხალხისაგან", ვფიქრობ ის მიზანს ვერ მიაღწევს. ალბათ არ მოიძებნება დღეს ერთი ქართველიც კი — დამოუკიდებლობაზე რომ არ ოცნებობდეს, მაგრამ მე მინდა უფრო რეალისტურად შეხედოს ჩვენმა ახალგაზრდობამ ამ საკითხს. ემოციების ზედმეტად აყოლა დაღუპავს ეროვნულ მოძრაობას.

რახან ეროვნულ მოძრაობაზე ჩამოვარდა საუბარი მინდა მკითხველმა იცოდეს რა სიტუაციაა ამ მხრივ ხობის რაიონში. მართალია ბევრი ის პრობლემა, რაც სხვა რეგიონებში დგას (განსაკუთრებით არაქართველ მოსახლეობასთან, თურქი-მესხების საკითხთან დაკავშირებით) ჩვენთან არ წამოჭრილა, მაგრამ ეროვნულ მოძრაობას აქ თავისი სასიცოცხლო და უმნიშვნელოვანესი პრობლემები აქვს. გნებავთ ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური და სამართლებრივი პრობლემები. არ შეიძლება საერთო საქმიდან გათიშვა და განზე გადგომა. ჩვენ ერთმანეთის გვერდი-გვერდ ვართ. ხშირად ვმართავთ დიალოგებს. გვაქვს შეხვედრები, ზოგჯერ კომპრომისზეც მივდივართ, მაგრამ არამც და არამც ოპოზიციაში დგომა. შენ-ჩემობა არაფერს გვარგებს, თუმცა მე ვიტყოდი, რომ დასახვეწი და გასაუმჯობესებელი ამ საკითხშიც ჯერ კიდევ ბევრია.

# „შენ-ჩემობა არაფერს გვარგებს"...

**— ჩვენ ახლა ხშირად ვსაუბრობთ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე, კანონის ჰუმანიზაციაზე, როგორია თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ვიყავით ყველაზე ჰუმანურები, სამართლიანები და ძლიერები, დღეს კი იკვეთება, რომ ასეთები მხოლოდ მომავალში უნდა გავხდეთ. ეს ალბათ რთული და ხანგრძლივი პროცესია. პირველი ნაბიჯები ამ მხრივ ალბათ უნდა გადავდგათ მოქმედი კანონმდებლობის მთლიანი თუ არა-ნაწილობრივი შეცვლით. არ შეიძლება დღევანდელ სიტუაციას, გარემოს და გნებავთ ადამიანის ხასიათს მოერგოს რევოლუციის დროინდელი კანონები. ამასთანავე სახელმწიფო ვერ იქნება სამართლებრივი თუკი იქ ყველა სამართალი გაითელება და ჩავერევით (ნებისმიერი გაგებით) სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში. ჩვენ უნდა მივაღწიოთ სამართლებრივ სახელმწიფოში იმასაც, რომ ადამიანს დანაშაული დანაშაულად მიაჩნდეს და იცოდეს, რომ ის მისთვის პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს. რაც შეეხება კანონის ჰუმანიზაციას, მე ვფიქრობ, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ვთქვათ 5 წლის ნაცვლად მიესაჯოს 2 წელი და ამით კანონის ჰუმანურობას გავუსვათ ხაზი. ალბათ უპირველესად უნდა გაუმჯობესდეს პირობები კოლონიებში, ციხეებში, ჩვენ ყოველნაირად უნდა ვცდილობდეთ მსჯავრდადებული იმ კედლებიდან საზოგადოებას დაუბრუნდეს ჯანსაღი, რწმენა შეურყეველი, მორალურად მომზადებული ახალი ცხოვრებისათვის.

**— რას გვეტყოდით ქართული მილიციის მომავალზე, მის ეროვნულ ფორმაზე, საერთოდ ვინ უნდა იყოს ჩვენს რიგებში დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისას?**

— დავიწყებ იმით, რომ თუ მილიციის ფორმა (შინაარსობრივად) და მდგომარეობა არ შეიცვალა, ის გაეთიშება საზოგადოებას. ჩვენ ვართ საბჭოთა მილიცია და მე არ მინდა რომ ქართული, ეროვნული მილიცია იყოს დღევანდელი ავტორიტეტით. მილიციაში ხალხი უპირველესად უნდა ხედავდეს მისი ინტერესებისა და უფლებების დამცველს და არა რომელიმე პრივილეგირებული „ფენის." საქართველოს უნდა ჰყავდეს ეროვნული მილიცია მისი წესებით, ფორმით, კანონით, ხასიათით. ჩვენს რიგებში უნდა იყვნენ მორალურად და ზნეობრივად, სპეტაკი ადამიანები, ჰუმანურები, განათლებულები და რაც მთავარია მოწოდებით სამართლის მსახურნი. ჩვენ უნდა გვყავდეს ასეთი მილიცია და ამის გადაწყვეტას ველით ახალი უზენაესი პარლამენტისაგან.

**— ორიოდე სიტყვით ჩვენს გაზეთზაც, როგორს ინატრებდით მას?**

— მახსოვს პატარა ვიყავი, როცა „მებრძოლი გუშაგი" დიდფორმატიანი გაზეთი იყო. ძალიან დიდი იყო მისადმი დაინტერესება და ჩემთვისაც ერთ-ერთი უსაყვარლესი გაზეთი იყო. ალბათ არ იყო ოჯახი ყოველი მეორე მაინც, გაზეთი შინ რომ არ მისდიოდა. დღეს მდგომარეობა ბევრად სხვანაირია, მართალია გაზეთი ჩემთვის ისევ საყვარელ საკითხავად დარჩა, მაგრამ შეიცვალა მისი ფორმატი და რაც ყველაზე გულსატკენია გახდა ორენოვანი. ალბათ დროა საქართველოს შს სამინისტროს გაზეთი გამოვიდეს ისევ ქართულ ენაზე და თუკი დღეს გვჭირდება საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთკონტაქტი, რატომ არ უნდა იყოს „მებრძოლი გუშაგი" თავისუფალ ხელმოწერაში. მე მიმაჩნია, რომ მას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია ჩვენს წინაშე დასმული პრობლემების გადაჭრაში.

# შევუქმნათ შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობები

**(დასასრული)**

გორშიც ისინი, და იგივე საზოგადოებაში არსებული ნაკლიც რა თქმა უნდა ისევე გვგვაჩნია, როგორც ცხოვრების ყველა სფეროს.

არ შეიძლება დღევანდელ პირობებში იდეალური იყოს მთლიანობაში ან უწყება, ან დარგი. ათიათასობით კეთილსინდისიერ მუშაკს თითო-ოროლა გარეწრები ყოველთვის უტეხდნენ სახელს. ასეა დღესაც და შეიძლება ასევე იყოს მომავალშიც, მაგრამ განა ცოტა რამ კეთდება ჩვენს რიგებში სიწმინდის შენარჩუნებისათვის?

ახლა ვნახოთ, ვიმსახურებთ თუ არა საზოგადოებიდან იმდენ საყვედურს, რამდენსაც გამოთქვამენ? ჩვენ ვართ იმ მოქალაქეთა წრე, რომელმაც ფიცი დასდო სამშობლოსა და ხალხის წინაშე, რომ მათი ინტერესების დაცვისათვის საკუთარი სიცოცხლეც კი არ დავიშუროთ. ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებიც იგივე საზოგადოების აგრერიგად არევ-დარევის გამო მოკლებული ვართ ყოველგვარ ადამიანურს. საზოგადოების ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში ჩვენ ჩვენი თავი და სიცოცხლეც კი არ გვეკუთვნის, ჩვენში არ არსებობს საზეიმო დღეები საზეიმო განწყობილებით, ჩვენთვის არ არსებობს დაგეგმილი ან დაუგეგმავი დასვენების დღეები, მოკლებული ვართ ოჯახური ცხოვრების ჰარმონიას, ცოლ-შვილის გვერდზე ჭირსა თუ ლხინში ყოფნას, ნათესავებთან სტუმრობას და დამშვიდებულ ძილს. ჩვენთვის არ არსებობს სამუშაო დღის დასასრული. მილიციაში მუშაობის დაწყების პირველი დღიდან ჩვენი სამუშაო დრო გრძელდება პენსიაზე გასვლის დღის ბოლომდე. ჩვენ არ ვსარგებლობთ არავითარი პრივილეგიებით საზოგადოებაში, არავინ გვემსახურება რიგგარეშედ, არ გაგვაჩნია საკუთარი სავაჭრო ობიექტები და არც სხვა რაიმე „სპეც"-ები. აბა გადახედეთ გასულ ათწლეულებს, რამდენჯერ შეგვპირდნენ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ რამდენი ჩვენი კოლეგა აღესრულა დანაპირების მოლოდინში? მოდით ვამცნოთ საზოგადოებას, რომ მათი მშვიდობიანი ცხოვრების გუშაგთა დიდი ნაწილი არაადამიანური შრომის პირობების გარდა, უბინაობის გამო არაადამიანური ცხოვრების პირობებშიც იმყოფებიან.

აქედან გამომდინარე კონფერენციაზე მრავალი წამოჭრილი საკითხიდან გამოვყოფ ერთ-ერთს და შემომაქვს წინადადება:

1. დაისვას საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე, რომ ამიერიდან ყველა მშენებარე საცხოვრებელ კორპუსში თითო ბინა გამოეყოს მილიციის თანამშრომელს.

ასეთი დადგენილება თურმე 50-იან წლებში არსებობდა, მაგრამ მე მას ვერ მივაკვლიე და ვთხოვ ჩვენს ვეტერანებს, გამომეხმაურონ და მიგვანიშნონ იგი.

ეს მოთხოვნა ვინმეს რომ გადაჭარბებულად არ მოეჩვენოს, მინდა განვმარტო, რომ თითო კორპუსიდან თითო ბინა დაახლოებით შეადგენს საბინაო ფონდის ერთნახევარ-ორ პროცენტს, და განა ერთნახევარი — ორი პროცენტის გამოყოფა ისეთი უწყებისათვის, როგორიც მილიციაა, შეუძლებელი ან გადაჭარბებული მოთხოვნაა?

2. გარკვეული მოსაზრებების გამო, ბინის გამოყოფა მოხდეს მეორე-მეოთხე სართულებზე.

**რ. ზრიზალაშვილი,**
**თბილისის შს სამმართველოს ერთ-ერთი დანაყოფის მეთაური, სამმართველოს პარტიული კომიტეტის წევრი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

## МИЛИЦЕЙСКИЕ БУДНИ

● ХОРОШИХ результатов по многим показателям оперативно-служебной деятельности добиваются сотрудники Руставского ГОВД. Бдительнос т ь, оперативность, высокое профессиональное мастерство отличают победителей соревнования лучшего по профессии—сотрудников подразделения ППС младшего сержанта милиции Т. Чаучидзе и милиционера рядового милиции К. Цибутани.

● Много информации приходится ежедневно обрабатывать начальнику паспортного отделения майору милиции Г. Хоштария и паспортистке Л. Сехниашвили.

● Инструктаж перед выходом на дежурство проводит командир подразделения ППС майор милиции Д. Девдариани.

● Успешно совмещает службу в милиции и учебу на пятом курсе экономического факультета Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили один из лучших сотрудников подразделения ППС старшина милиции Г. Картвелишвили.









ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლით გავლილი გზები

**წლებს** საკმაოდ დაუთოვიათ მის მხრებზე, თმებს სითეთრე მორევია. თვალებში ნაღველს ამოიკითხავ უსათუოდ, მაგრამ სიკეთის ნაპერწკალსაც შეამჩნევს დაკვირვებული თვალი.

დინჯად ვიწყებთ საუბარს, მაგრამ თანდათან ემოციები ეძალება და ხანდახან ვარდისფერიც გადაუვლის სახეზე. თუმცა არ მიკვირს, რადგან მის მიერ განვლილი გზა იყო დიდი ბრძოლის, ჭიდილის, სიკვდილთან პირისპირ შეყრის გზა, და არ შეიძლება მასზე გრძნობადაცლილმა ილაპარაკო, მაშინაც კი, როცა მოგონებებს ეხება ეს საუბარი.

ალბათ უკვე ათასგზის მოყოლილ ისტორიას, ათასმეერთედ მიყვება რევაზ ნიკოლაიშვილი. შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი, შსს ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე. თბილისის საარტილერიო სასწავლებლის (26 კომისრის სახელობის) დამთავრების შემდეგ რ. ნიკოლაიშვილს აგზავნიან 416 მსროლელთა დივიზიის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ფრონტზე, სადაც მეთაურობდა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხთა ოცეულს. ბატონი რევაზი ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელთა თვალწინ, უშუალო მისი მონაწილეობით ჩაიარა მეორე მსოფლიო ომის მძიმე და სისხლიანმა დღეებმა. იყო ჰოსპიტალის კედლებში გატარებული ტკივილიანი დღეები, განსაცდელი, ომის შუაგულში ტრიალი, მაგრამ მისთვის ყოველთვის იყო დიდი რწმენა — „ასეა საჭირო", „ქვეყანას ასე სჭირდება". ამ რწმენით გაიარა მან ბრძოლის 5 წლიანი გზა.

მის ხასიათში ყოველთვის იყო რაღაც განსაკუთრებული, რომელიც სხვებისგან გამოარჩევდა. ეს ალბათ მეტი პრინციპულობა, საქმისადმი ზედმეტად სიყვარული თუ იყო, რაც დღემდე შემორჩა ბატონ რევაზს. სამამულო ომის დამთავრებით არ შეწყვეტილა მისი საბრძოლო ცხოვრება. 1947 წლამდე რევაზი ბრძოლის ხაზზეა (თავის ჯარის ნაწილებთან ერთად რუმინეთის ტერიტორიაზე). ამის შემდეგაც მას აგზავნიან 414 მსროლელთა დივიზიაში ბატარეის უფროს ოფიცრად.

ნურავინ ვიტყვით იოლი იყო ის



გზა, ანდა გახსენებაა ადვილი. დღემდე ტკივილი და ცრემლები ახლავს მას, დიდი დარდი და ნაღველი, და ათიათასობით ისევ ლოდინით დაღლილი, გზისკენ მომზირალი თვალები — შინმოუსვლელთა იქნებ დაბრუნებისა...

არც იმ ჯილდოების მოპოვება ყოფილა იოლი ბატონ რევაზს რომ უმშვენებს მკერდს, (3 ორდენი, 18 მედალი, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენი). ნაზად, მოკრძალებულად რომ ეხება დაკოჟრილი ხელებით. თითოეული მათგანისათვის სისხლი, სიცოცხლეა გაღებული.

რწმენამ გვიხსნა — დამაჯერებლად მეუბნება მოხუცი, — როგორ მინდა თქვენს თაობას ჰქონდეს ყველაფრისადმი ასეთი ძლიერი რწმენა.

ცხოვრება „კალაპოტში ჩადგა", დრომ თავისი მოითხოვა. რ. ნიკოლაიშვილი 1956 წელს ამთავრებს სამხედრო იურიდიულ აკადემიას მოსკოვში. მუშაობს სამხედრო პროკურორად შავი ზღვის ფლოტში.

1962 წლიდან კი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით რ. ნიკოლაიშვილი იგზავნება შს სამინისტროში, ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იყო კადრების სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსი, სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი, გამასწორებელ საქმეთა კოლონიების სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბოლოს სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების უფროსი. ალბათ თავად ეს სამსახურები მეტყველებენ მის განვლილ გზაზე, სხვანაირი არჩევანი წარმოუდგენელიც იქნებოდა, ბრძოლით დაწყებული გზა, ბრძოლითვე გაგრძელდა. ყველაზე საინტერესოდ მაინც მსჯავრდადებულებთან მუშაობის წლები მიაჩნია ბატონ რევაზს, რადგან მის ადამიანობას, სიკეთეს არაერთი გზასაცდენილი დაუყენებია ცხოვრების გზაზე...

წლები შემომეპარაო უჩუმრად — მითხრა ბატონმა რევაზმა, ეს კი მაშინ ხდება, როცა საქმის სიყვარულშია გათვლილი ყოველი დღე, მაგრამ წლები რა მოსატანია მაშინ, როცა რ. ნიკოლაიშვილის ცხოვრებას ალამაზებს ტკბილი ოჯახი, ორი ვაჟკაცი და სახელოვნად განვლილი დღეების ტკბილი მოგონება.

**მ. ლიბრაძე**

• • •

**სურათზე:** რ. ნიკოლაიშვილი ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ.

# ვულოცავთ



**მილიციის** პოლკოვნიკს პროკოფი სამსონის ძე ხვიჩიას კარგად იცნობს ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, აქტიური მონაწილეობა მიიღო სამინისტროს ორგანოს გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" შექმნის ორგანიზაციაში, რომლის რედაქტორის პირველ მოადგილედ საკმაო დროის განმავლობაში თვითონაც მუშაობდა. როგორც ჟურნალისტთა კავშირის წევრი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანოებში დღესაც ნაყოფიერად თანამშრომლობს. ოპერატიულ-ორგანიზატორულ საქმიანობას იგი საუკეთესოდ უხამებს სამეცნიერო-ჟურნალისტურ მოღვაწეობას. არის 35 მეცნიერული შრომის ავტორი. გამოქვეყნებული აქვს 600-ზე მეტი საჟურნალო და საგაზეთო, სატელევიზიო კორესპონდენცია, მათ შორის სამტომეული „საქართველოს საბჭოთა მილიციის ისტორიის ნარკვევები" (ქართულ და რუსულ ენებზე), რომელმაც ფართო მოწონება დაიმსახურა და შეტანილია სსრკ-ის შს სამინისტროს აკადემიისა და მილიციის უმაღლესი სკოლების სასწავლო პროგრამაში, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო ხარისხი, ხოლო 1983 წელს სადოქტორო. ამჟამად პ. ხვიჩია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მიიღო მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობამ — სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1990 წლის 28 აპრილის დადგენილებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს პ. ხვიჩიას სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

ჩვენი გაზეთის რედაქცია, საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მთელი პირადი შემადგენლობის სახელით ულოცავს პ. ხვიჩიას ამ საპატიო წოდებას და უსურვებს შემდგომ ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას შინაგან საქმეთა ორგანოების მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების კეთილშობილურ საქმეში.

# ЧТО ЭТО, ШАЛОСТЬ?

**НЕДАВНО** житель села Кяряк Цалкского района В. Арджанов, не заперев двери, остановил перед своим домом легковую автомашину «Жигули» своего брата, которой он пользовался временно по доверенности. Через определенное время, выйдя на улицу, В. Арджанов не обнаружил машины. Пришлось за помощью обратиться в Цалкский РОВД.

Автомашина в тот же день была доставлена владельцу в целости и сохранности.

Сотрудниками Цалкского РОВД К. Хачатуряном и Н. Сариевым было установлено, что угонщиком автомобиля оказался Ю. Калайчев, 1966 года рождения, рабочий Цалкского сырмаслозавода, ранее несудимый.

Утром следующего дня Ю. Калайчев сразу же признал себя виновным и объяснил свой поступок тем, что в день угона автомашины он находился в Кяряке на религиозном празднике и задержался в гостях у своего дяди. Движения транспорта в сторону Цалки не было. Увидев по дороге легковую машину «Жигули», он, не долго думая, соединил провода зажигания, завел машину и отправился домой.

По дороге в Цалку он начал понимать суть содеянного, но утешал себя тем, что по прибытии домой позвонит в Кяряк владельцу автомашины, который доводится ему дальним родственником, и признается во всем.

Однако в Цалке он понял, что его уже разыскивает милиция, остановил машину у обочины дороги, прямо напротив заправочной станции, и пошел домой. Лишь после этого, ночью он полностью осознал содеянное, раскаивался, но было уже поздно. К утру, как уже известно, он признался прибывшим сотрудникам РОВД.

При определении вида и меры наказания суд, конечно же, учел, что Ю. Калайчев впервые совершил преступление и сознает свою вину, а также ходатайство трудового коллектива сырмаслозавода, и передал условно осужденного Ю. Калайчева трудовому коллективу для перевоспитания и исправления, взяв подписку о невыезде до вступления приговора в законную силу.

Конечно же, хочется надеяться, что в дальнейшем все сложится хорошо в жизни Ю. Калайчева, и он больше не попадет на скамью подсудимых. В этом должны веское слово сказать его родители и, конечно, трудовой коллектив сырмаслозавода, поручившиеся за него, чтобы эта работа не оказалась формальной, а помогла бы молодому человеку различать преступление от шалости, выработать у него чувство ответственности за каждое свое действие.

**Е. КОСТОВА,**
**майор милиции, зам. начальника Цалкского РОВД по политчасти.**

# Ветеран по-прежнему в строю

**ПОИСТИНЕ** всенародный праздник День Победы, но особенно дорог он ветеранам войны, тем кто в жестокой борьбе с врагом отстоял свободу и независимость нашей Родины. Дорогой ценой заплатил советский народ за эту победу. Из поколения родившихся в 1921-1923 годах, и первыми вступивших в бой с фашистской ордой в живых остались считанные единицы — по два-три человека из ста. Среди них — ветеран войны, труда и органов внутренних дел республики, полковник милиции в отставке Саркис Гарегинович Казарян.

Родился и вырос он в Сухуми, здесь окончил школу, работал вместе с отцом на табачной фабрике. В первые же дни войны он добровольцем уходит в армию, служит в районе Батуми, на границе, оканчивает военно-инженерное училище, обучается альпинизму и горному делу. Все эти специальности очень пригодились ему, когда война подкатила к его родному очагу, к предгорьям Кавказа.

Фашисты очень надеялись, что удастся расколоть братскую семью народов Кавказа, но они жестоко просчитались — их наступление только еще больше сплотило людей разных национальностей, усилило их сопротивление общему врагу. Мужественно сражался вместе со своими земляками за родную землю и С. Казарян. В составе отдельной группы подрывников он организовывал минные заграждения на пути врага. Работа была тяжелейшая и опасная — ведь сапер, как известно, ошибается только раз в жизни, но выполнял он её с честью.

Отстояв Кавказ, советские войска погнали врага на запад. Уже опытным, закаленным в нелегких сражениях бойцом С. Казарян воюет в рядах 18-й армии, 1-го украинского фронта. Отвага и бесстрашие сочетаются в нем с осмотрительностью в бою. Но война есть война — всего не предусмотришь. В марте 1943 года во время разведки боем при форсировании Буга отважный минер был ранен разорвавшейся буквально у ног миной. И хотя ранение было очень тяжелым, он сумел в дальнейшем вернуться в строй, в составе танковой армии принял участие в форсировании Вислы, взятии Берлина, освобождении Праги.

И после победы в течение десяти лет оставался он в рядах вооруженных сил — ведь угроза новой войны была и в те годы суровой реальностью. За это время дослужился до капитана, окончил заочный юридический институт в Москве и после демобилизации поступил на работу в органы внутренних дел республики.

Работа здесь сродни военной — также требует полной самоотдачи, напряжения всех духовных и физических сил, да и риск порой не меньше, чем на фронте. Но солдатская закалка сыграла свою роль, и Саркис Гарегинович уверенно справлялся со своими нелегкими обязанностями, не раз лично участвовал в задержании особо опасных преступников.

Самыми главными качествами для стража правопорядка он всегда считал любовь к своей профессии, трудолюбие, без которых немыслимо повышение профессионального мастерства. Все эти качества он в полной мере проявлял на всех занимаемых должностях — выполняя обязанности заместителя начальника Сухумского ГОВД и Гульрипшского РОВД, заместителя начальника ОВО и начальника отдела охраны общественного порядка МВД Абхазии, других участках работы. Не случайно его многолетний добросовестный ратный труд отмечен многими правительственными наградами, в том числе орденами Красной Звезды, Отечественной войны I и II степени, медалями «За боевые заслуги», «За оборону Кавказа», «За взятие Берлина», «За безупречную службу в МВД» всех трех степеней, нагрудными знаками «Отличник милиции», «Отличник гражданской обороны».

Уже почти десять лет Саркис Гарегинович на пенсии, но не расстается с любимой профессией, в качестве общественного инспектора отдела кадров по служебной подготовке щедро делится с молодежью накопленным опытом, — многие из его бывших воспитанников стали настоящими мастерами своего дела, как начальник ОУР МВД Абхазии полковник милиции Б. Сагнадзе, начальник ГАИ министерства майор милиции В. Хварцня и другие. Сумел он привить любовь к службе бойцов правопорядка и своему сыну — Эдуарду Казаряну, капитану милиции, десять лет проработавшему в уголовном розыске, а сейчас являющемуся инспектором исправительно-трудовых работ.

В дни празднования 45-летия Великой победы хочется пожелать Саркису Гарегиновичу крепкого здоровья, долгих лет жизни и еще многих добрых дел на благо любимому делу и родному городу.

**А. ЛОМИДЗЕ.**

# დააკავეს ძებნილი

**...ჩოხატაურის** შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის მაიორი იორამ გოგიტიშვილი, ამავე ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვახტანგ ჯანჯალია და უბნის რწმუნებული მილიციის უფროსი ლეიტენანტი თამაზ ყაჭეიშვილი საღამო ხანი იყო, როცა განყოფილებიდან გამოვიდნენ და ქალაქის ცენტრისაკენ გაემართნენ. სასტუმრო „ცისკარის" შესასვლელთან ახალგაზრდებს მოეყარათ თავი. მილიციელების მოახლოებისას მათ გამოეყო გოგონა და იქვე ბაღისაკენ გაეშურა. გოგონას ეტყობოდა რომ ნასვამი იყო.

— რაღაც ნაცნობი არ უნდა იყოს! — ჩაილაპარაკა უბნის ინსპექტორმა და იორამ გოგიტიშვილს გადახედა. — არა სადღაც მინახავს ეს სახე. — უპასუხა გოგიტიშვილმა და სამივე თანამშრომელი ბაღისაკენ გაემართნენ.

რამოდენიმე წუთში ნასვამი გოგონა და მილიციის წარმომადგენლები განყოფილებაში იყვნენ. პროფესიულმა ალღომ არ უღალატა ი. გოგიტიშვილს. გოგონას სახე მართლაც ნაცნობი აღმოჩნდა. მისი სურათი იმ ფოტოების გვერდით იყო, რომლებიც გამოცხადებული იყვნენ საკავშირო ძებნაში. როგორც საქმის ვითარების დროს გაირკვა, ეს 20 წლის „მანდილოსანი" ძებნაში იმყოფებოდა ბელორუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. მინსკელ ტ. დ-ს თავის ქალაქში ჩადენილი ჰქონდა რამდენიმე ქურდობა და კვალის დასამალავად საქართველო არჩია, მაგრამ...

**ბ. შალოგლიშვილი.**

სპორტი ◆◆◆ СПОРТ ◆◆◆ სპორტი ◆◆◆ СПОРТ

# ბონდო შანიძის პრიზზე

ქ. ფოთში გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატი სახანძრო გამოყენებით სპორტში სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ბონდო შანიძის პრიზზე.

ამ ჩემპიონატისათვის ფოთის სახანძრო დაცვის მესვეურები რესპუბლიკის სახანძრო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობის თანადგომითა და დახმარებით კარგა ხანია ემზადებოდნენ. ფოთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ძალღონის დაუზოგავად არაფერი დაიშურეს იმისათვის რათა ყველაფერი რიგზე ყოფილიყო. და აი თანამედროვე სახანძრო სპორტულ ბაზაზე თავი მოიყარეს საქართველოს უძლიერესმა გუნდებმა. კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ რუსეთისა და უკრაინის გუნდები. მეხანძრე სპორტსმენებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ო. ხომერიკმა.

შეჯიბრების პირველი დღის შედეგებით წინ რუსთავის გუნდი იყო, მომდევნო ადგილები ეჭირათ თბილისისა და აჭარის გუნდებს. ფოთელ მეხანძრე სპორტსმენებს სამი სახეობიდან მხოლოდ ასმეტრიანი დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა ჰქონდათ მოგებული, რაც საეჭვოს ხდიდა საპრიზო ადგილზე გასვლას, მაგრამ აი მეორე დღეს ჩატარებულმა შეჯიბრების შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა, თ. კიზირიას, ზ. ჩაკვეტაძის, ზ. შეროზიას, გ. ივანოვის, ს. ბაირამიდის და მ. ფახულიას შემადგენლობით პირველი ადგილი დაისაკუთრეს ესტაფეტაში (4X100-ზე) და საბრძოლო გაშლაში.

საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ფოთის ნაკრებმა (მწვრთნელი გივი ბუკია) მეორე ადგილზე გავიდა რუსთავის გუნდი, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა თბილისელ მეხანძრე სპორტსმენებს. მაღალი ოსტატობის დემონსტრირებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მოსკოველმა და ხარკოველმა მეხანძრე სპორტსმენებმა, რომლებსაც გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

აღსანიშნავია, რომ ამ ჩემპიონატის მონაწილეებისათვის დამატებითი პრიზები დააწესეს ზუგდიდის, აბაშის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, ქობულეთისა და რიგი სხვა რაიონების საწარმოებებმა.

ლ. ჟოჟუა.





სურათზე: შეჯიბრების მომენტი; ჩემპიონატისმთავარი მსაჯი, სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, შ/ს პოლკოვნიკი ნ. წიკლაური დიპლომს გადასცემს გამარჯვებული გუნდის მწვრთნელს.

## ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

# ПРОФИЛАКТИКА РЕЦИДИВОВ СРЕДИ РАНЕЕ СУДИМЫХ

**НА БАЗЕ** городского бюро по трудоустройству в Комсомольске-на-Амуре организован объединенный хозрасчетный центр по трудоустройству и информированию населения, в котором создан автоматизированный банк информации о вакантных должностях на предприятиях города, постоянно пополняющийся данными отделов кадров, нуждающихся в рабочей силе. Это дает возможность оперативно решать вопросы трудового и бытового устройства лиц, отбывающих наказание, как правило, уже через несколько дней после освобождения.

В УВД Калининградского облисполкома на базе производственно - вспомогательного здания ИТУ создано общежитие для проживания 110 человек. Постоянное место в общежитии предоставляется только гражданам, согласившимся трудиться на объектах ОИД УВД. Здесь допускается временное проживание (10 суток) лиц, освобожденных из мест лишения свободы, лечебно-трудовых профилакториев, приемников - распределителей, снятых с учета спецкомендатур области, если возникают трудности с их бытовым устройством. За общежитием закреплена группа, состоящая из 3-х инспекторов ИТУ, которые взаимодействуют с начальниками отрядов, заместителями начальников учреждений по политчасти, сотрудниками инспекции исправительных работ горрайорганов внутренних дел области, представителями наблюдательных комиссий при исполкомах советов народных депутатов и центра по трудоустройству, переобучению и профориентации населения.

В Куйбышеве и Тольятти образованы центры адаптации лиц, утративших социально полезные связи и жилье. Под них заняты свободные площади двух спецкомендатур. Лица, отбывшие наказание, могут находится в центре адаптации до полугода, а затем перемещаться в общежития обычного типа. Трудоустройство обеспечивается на закрепленных объектах с учетом имеющейся специальности. За счет фондов УИД УВД облисполкома им оказывается безвозмездная материальная помощь в пределах 25 рублей. Центры расcчитаны на 500 человек.

**Подробная информация опубликована в «Сборнике МВД СССР».**

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### ИСПОРТИЛИ ПРАЗДНИК

**ПОНЯТЬ почему грабители, ворвавшиеся в квартиру жительницы Техаса Линды Никлос, унесли видеомагнитофон, автоответчик, деньги и драгоценности, нетрудно. Но зачем они прихватили с собой именинный пирог, предназначенный для десятилетних близнецов Достина и Доймона? И совсем непонятно, почему вместе с пирогом исчезли две пары коньков, которые Никлос приобрела в подарок своим сыновьям.**

### УКРАЛИ СТОРОЖА

**ЯДОВИТЫЕ змеи стали привычным зрелищем в витринах ювелирных магазинов Великобритании. Они охраняют драгоценности лучше всяких электронных устройств. Но теперь, оказывается, даже этого недостаточно. Грабители научились обращаться с гадюками и кобрами и прихватывают их вместе с драгоценностями. Благо, что цены на пресмыкающихся не ниже, чем на ювелирные изделия.**

### УГОЛЬНЫЕ ГАНГСТЕРЫ

**В УЭЛЬСЕ на одной из железных дорог машинист едва успел затормозить, увидев на рельсах кучу мусора. И сразу же со всех сторон к составу бросились грабители. Они вскрывали вагоны и, подогнав машины, перегружали на них... брикеты угля. Буквально в том же месте через несколько часов таким же образом был ограблен состав с горючим. Полиции еще не удалось напасть на след преступников, но в городах Уэльса уже появились различные торговцы, предлагающие хозяйкам уголь в больших брикетах...**

— **გთხოვთ!** — ბრძანება გასცა ქირურგმა.

მთელი ამ დროის მანძილზე უხმოდ ვიდექი.

— ცუდადაა საქმე! — როგორც იყო, ჩემთვისაც მოიცალა ქირურგმა.

— რა... ძლივს მოვაბრუნე ენა, — მოკვდა?

დონორის სისხლია საჭირო... ახალი... თბილი... დონორია საჭირო... ქალაქის საავადმყოფოებს გადაურეკეთ... ეძებენ დონორს... თუ იპოვეს ყველაფერი რიგზე იქნება... ერთი სიტყვით, ჩვენს საავადმყოფოში პირველი ჯგუფის სისხლი არ აღმოჩნდა...

— რატომ მეუბნებით ყველაფერ ამას? დაკვირვებით შემხედა.

— როგორც თქვენმა კოლეგამ ბრძანა, საქმის ვითარება გაცნობეთ! — მომიგო და ერთბაშად შებრუნდა.

მეგობარო, ვხუმრობ, თუ სიმართლე გინდათ, მე სრულიად მოხიბლული ვარ თქვენი პიროვნებით. ასეთ რამეს დიდი გულის ადამიანები სჩადიან მხოლოდ... სამწუხაროდ დღეს კეთილშობილებამ სულ სხვა სახე მიიღო... — და ხელი დაადო მხარზე — გმადლობთ და მე ერთ რამეს მივხვდი — არ არსებობს წესი, რომლისგანაც გადახვევა არ შეიძლებოდეს რაღაც დიადი, განსაკუთრებული ურთიერთობის გამო.

ქირურგმა სიგარეტი ამოიღო, ღია სარკმელს მიეყრდნო

— თქვენც მოსწიეთ.

— აქ განა შეიძლება.

— თქვენთვის შეიძლება.

დერეფანში სიჩუმე სუფევდა.

წვიმდა და ღამეული სიგრილე სიამოვნებდა რომანს.

რაზე ფიქრობდა რომანი?

უსაშველოდ გრძელსა და მოვლენებით სავსე დღეზე!

გიორგი სანადირაძე

# აკრძალული თამაშები

— მოიცადეთ! — მკლავზე მინდოდა წამეტანა ხელი, მაგრამ გადავიფიქრე.

— მე მაქვს პირველი ჯგუფის სისხლი.

— ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, — თქვა.

— მე ამიღეთ!

ახლა კი ინება მთელი ტანით შემობრუნება. ისე ამხედ-დამხედა, თითქოს რაღაც უადგილო და ყოვლად გაუთვალისწინებელი რამ წამომცდა.

ერთი საათის შემდეგ.

— უცნაური ხალხი ხართ ეს ქართველები! — თქვა ქირურგმა.

რომანმა გაოცებით შეხედა.

— რა შეგვატყვეთ ასეთი? — გაიღიმა ცოტა ხნის შემდეგ.

— ჩემს გონებაში ვერაფრით ვერ თავსდება ასეთი რამ: კაცს დასაჭერად მისდევდით, იგი თქვენი მტერიც იყო და მთელი ჩვენი საზოგადოებისაც, ასეა?

რომანს თავი უბრუნდა.

— ასეა, — უხალისოდ დაუკრა კვერი.

— ალბათ, გესროდათ კიდეც?

რომანმა თავი დაუქნია ისევ.

— მერე? — გაიპრიალა ქირურგის თვალებმა, — რით ავხსნა თქვენი ამგვარი მოქმედება?

— რაღაც ვერ გაგიგეთ! — გაღიზიანება დაეტყო რომანს.

— ეს მე ვერ გაგიგეთ! — პირიქით შეუტია ქირურგმა — ის ხომ პირწავარდნილი გარეწარია?! ყაჩაღი! ავაზაკი! არ ვიცი, კიდევ რა სიტყვა მოვუძებნო! თქვენ კი ასე დაჰკანკალებთ! ასე მგონია, შეუძლებელსაც გააკეთებთ, რათა მისი სიცოცხლე იხსნათ...

ეჭვი.

— რა განა ასეთი რამეც არის მოსალოდნელი?

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა ქირურგმა, — იგი გადარჩა.

— აგაშენათ ღმერთმა! მადლობის მეტი რა გვეთქმის.

— გატყობთ, ნერვიულობთ...

ქირურგმა ჯერ კიდევ არ იცოდა რომანის ჩვილი გულის ამბავი.

— არაა ცხოვრება ისე მოწყობილი, როგორც გარედან ჩანს, — თქვა რომანმა.

— ეგ კი ვიცი! — ამოიოხრა ქირურგმა.

— უსიამოვნო გრძნობა დამრჩა.. ასე პირისპირ პირველად შევხვდი სიკვდილს.

ქირურგმა ყრუდ გაიცინა.

— მთავარია, რომ ბიჭი გადარჩა. თქვენ გადაარჩინეთ.

— განა თქვენ არ გააკეთებდით იგივეს?

— მაშინ ალბათ, ქართველად უნდა დავბადებულიყავი, — სიხე ერთიანად უცინოდა. — ვხუმრობ ჩემო

ადრიანი დილა იყო, როცა პიატიგორსკში ჩავიდნენ. „წარმოიდგინე აქ პირველად ვარ," — თქვა ნოდარ ჩიტიაშვილმა. „აბა, ჩათვალე, რომ ბედმა გაგიღიმა!" — გაიცინა რომანმა, „ბედი მაშინ გამიღიმებს „ჩვენს კაცს" რომ გავკოჭავთ!" ჩამოსვლის მიზეზი გაიხსენა ჩიტიაშვილმა. რომანმა არაფერი უპასუხა. ნოდარი იმ უბნის ინსპექტორი იყო, სადაც ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაიღუპა ღირსეული მოსილი ადამიანი. არა, შეცდომა არ მომხდარა, ოჯახის თავკაცი გულით იყო ავად. სააბაზანოში ჩაკეტეს. უჰაერობამ და ღელვებამ იმსხვერპლა იგი. ეს იყო ერთი თვის წინად. დამნაშავეთა შეპყრობა რომან გვენცაძეს დაავალეს. მან სწრაფად მიაგნო მძარცველთა ჯგუფის ყველა წევრს. თავკაცმა მოასწრო მიმალვა. ოპერატიული მონაცემებით იგი პიატიგორსკში აფარებდა თავს.

პიატიგორსკში წვიმს.

ადრიანი დილაა.

ცივა.

აგერ ის სახლი, სადაც ინფორმაციის თანახმად გამყიდველი ელა ცხოვრობს.

ჩიტვაშლას ტოტებში ბეღურებმა გაიფრთხიალეს ჭიშკრის ჭრიალზე (ალბათ განგებ აქვთ მოწყობილი).

პარმაღზე ქალი გამოდის. გაწეწილი თმა, ნამძინარევი აწითლებული თვალები, ხალათს ისკვნის.

ამასობაში რომანი კიბეზე ადის, პარმაღზე მდგომ ქალს არ მოსწონს მისი ამგვარი „თავხედობა". ნოდარი ქალსა და კარებს შორის დგება.

— ე, ე! დაბნეული ასავსავებს ხელებს ქალი, — ვინა ხართ? რა გინდათ?

მხოლოდ სახლის დათვალიერების შემდეგ უთხრეს მასპინძელს რისთვისაც შეაწუხეს ასე ადრიანად: პაატა გაბიჩვაძე!

ქალი კი არ დაჯდა, დაენარცხა სკამზე. უნებურად მზერა იმ ნივთებისკენ გაექცა, საგულდაგულოდ თვალში საცემ ადგილას, რომ გამოეფინა. რომანმა უმალ შეაფასა ვითარება აქ ნაძარცვი ნივთების ნაწილი ჩანდა მხოლოდ. დანარჩენი? ელას მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ დაუწყია. „პაატამ მთხოვა, გამეყიდა, მეც გავყიდე. დანარჩენი თავად შევისყიდე აქა მაქვს აი ეს „სულ". თვითონ პაატა სად არის? ელოდა თუ არა ამ კითხვას ქალბატონი ელა? უნიათად იღიმება. ამ ღიმილით დროის მოგება უნდა. მას ძალიან სჭირდება დრო პასუხის მოსაფიქრებლად. სახეზე ორჭოფი — შინაგანი გაბრძოლების ნიშანი, — უნდა დაიჭიროთ? — ძლივს ისმის მისი ხმა. „ჯერ არ ვიცით შესაძლოა იგი არაფერში არაა დამნაშავე". ქალი დაეინებით მისჩერებია რომანს. მართალს ამბობს?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 19

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## გასწორება

ჩვენი გაზეთის 5 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „სასარგებლო ნაშრომი" გაიპარა შეცდომა. წერილს ხელს უნდა აწერდეს საქართველოს სსრ შსს მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ნ. ბარნოვი. მეორე ხელისმომწერი გ. ცუცქირიძე არის ამავე ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

რედაქცია ბოდიშს უხდის წერილის ავტორებს.

ინდექსი 66639
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კობალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 09440